ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ქონების მართვისა და
ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური

N 3084-25 20/02/2018

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის აპარატის უფროსს
ბატონ ნუკრი დეკანაძეს

ბატონო ნუკრი,

თქვენი 2018 წლის 14 თებერვლის №2756-25 წერილის თანახმად ქ. ბათუმის www.faqtcheck.ge-ს ანალიტიკოს ნაზიბროლა რეხვიაშვილის 2018 წლის 13 თებერვლის №5095/25 წერილზე საპასუხოდ გაცნობებთ, რომ ბინათმშენებლობის პირობით აუქციონის (კონკურსის) წესით განკარგულ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე განხორციელებული ბინათმშენებლობებიდან სახელშეკრულებო პირობების თანახმად 2012-2017 წლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემული იქნა საცხოვრებელი ფართები (ბინები) ქვემოთჩამოთვლილ მისამართებზე:

1. შპს „ცვლილებათა ქარი“-ს მიერ ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №107 ჟ -ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსიდან 71 საცხოვრებელი ბინა - სულ 4122,7 კვმ ფართით, განკარგულია 68 ბინა 4014,8 კვმ.ფართით.
2. ფიზ. პირ კორნელი კემულარიას მიერ ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსიდან - 140 საცხოვრებელი ბინა - სულ 12253,2 კვმ ფართით, განკარგულია 124 ბინა-10851,1 კვმ. ფართით.
3. შპს „დუკა 2006“-ს მიერ ქ. ბათუმი, ფიროსმანისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე საცხოვრებელი კორპუსიდან - 52 საცხოვრებელი ბინა - სულ 4272,1 კვმ ფართით, განკარგულია 36 ბინა- 2874,6 კვმ.ფართით.

ქ. ბათუმის მინიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ბინების განკარგვა განხორციელდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად იმ ფიზიკური და იურიდიული პირების საცხოვრებელი ფართების კომპენსაციის მიზნით, რომელთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართები აუცილებელი გახდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ახალი საავტომობილო გზების და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობისას. ასევე „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის შესახებ“ მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, რომლებსაც ჰყავთ 7 (შვიდი) და მეტი შვილი.

პატივისცემით,

ეგარსლან ლომაძე

სამსახურის უფროსი

6010 ლუკა ასათიანის ქ. №25 ტელ: 0 (422) 24 63 15